

ოქმი # 2020-01

ქ. თბილისი

3 იანვარი 2020 წელი

სხდომაზე დარეგისტრირდა გამგეობის 7 წევრი:

1. დავით მჭედლიშვილი
2. გიორგი გელაშვილი
3. მეველუდი მელაძე
4. ოთარ თავართქილაძე
5. ზურაბ ბაბუციძე
6. ალექსანდრე ლომაძე
7. გიორგი ტულუში

გამგეობის წევრის ოთარ თავართქილაძის წარდგინებით გამგეობის სხდომის თავმჯდომარედ დასახელდა დავით მჭედლიშვილის კანდიდატურა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 7

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 0

(კენჭისყრაში მონაწილეობდა გამგეობის სხდომის 7 წევრი)

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

გამგეობის სხდომის თავმჯდომარის, დავით მჭედლიშვილის წარდგინებით გამგეობის სხდომის მდივნად დასახელდა გიორგი გელაშვილის კანდიდატურა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 7

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 0

(კენჭისყრაში მონაწილეობდა გამგეობის სხდომის 7 წევრი)

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

გამგეობის სხდომის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი გიორგი გელაშვილის "საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია"-ს გამგეობის სხდომის მდივნად დანიშვნას.

სხდომის თავმჯდომარემ, დავით მჭედლიშვილმა სხდომა გახსნილად გამოაცხადა და წარუდგინა დღის წესრიგი:

დღის წესრიგი :

- 2019 წლის საქმიანობის ანგარიში და 2020 წლის გეგმები;

საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის გამგეობის სხდომის თავმჯდომარემ დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 7

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 0

(კენჭისყრაში მონაწილეობდა გამგეობის სხდომის 7 წევრი)

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

1) 2019 წლის საქმიანობის ანგარიში და 2020 წლის გეგმები;

საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის გამგეობის სხდომის წევრმა დავით მჭედლიშვილმა წარუდგინა სხდომას 2019 წლის განმავლობაში მიღწეული შედეგები. ფედერაციის მიმდინარე ფინანსური ანგარიში. ასევე ისაუბრა 2020 წლის გეგმებზე. 2020 წლის გეგმებზე აზრი გამოთქვეს სხდომის წევრებმაც. სხდომის წევრებმა დადებითად შეაფასეს ფედერაციის პრეზიდენტის დავით მჭედლიშვილის 2019 წლის საქმიანობა და გიორგი გელაშვილი წარდგა ინიციატივით სხდომის წინაშე, რომ დავით მჭედლიშვილს 2020 წლის იანვრიდან დაენიშნოს ანაზღაურება თვეში 2000 ლარის ოდენობით (ხელზე ასაღები), ასევე 2019 წლის მუშაობისთვის მიეცეს პრემია 24 000 ლარის (თვეში 2000 ლარი) ოდენობით (ხელზე ასაღები). გიორგი გელაშვილის ინიციატივა მოიწონეს სხდომის წევრებმა. სხდომის თავმჯდომარემ, დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, კერძოდ: დავით მჭედლიშვილისთვის 2020 წლის იანვრიდან ყოველთვიური ანაზღაურების დანიშვნა ხელზე ასაღები 2000 ლარის ოდენობით და 2019 წლის მუშაობის შედეგებიდან გამომდინარე დავით მჭედლიშვილზე გაიცეს პრემია ხელზე ასაღები 24 000 ლარის ოდენობით. კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო დავით მჭედლიშვილმა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 6

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 0

(კენჭისყრაში მონაწილეობდა გამგეობის სხდომის 6 წევრი)

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხზე მსჯელობა დასრულდა. გამგეობის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:



დავით მჭედლიშვილი

სხდომის მდივანი:



გიორგი გელაშვილი

სხდომის წევრები:

მევლუდი მელაძე:




ზურაბ ბაბუციძე:



ოთარ თავართქილაძე:



ალექსანდრე ლომაძე:



გიორგი ტულუში:

